



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 9 აგვისტო

**დისციპლინური საქმე №77/21-1
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2021 წლის 7 ივლისის №77 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 12 ივლისის №313/77-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ ისე დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, რომ მხარეს არც უცდია ექსპერტიზის დამოუკიდებლად ჩატარება.

1.2. მოპასუხე მხარე ეცადა საქმის განხილვის გაჭიანურებას, რასაც მოსამართლე --- მაქსიმალურად შეუწყო ხელი.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. --- სასამართლოს 2018 წლის 6 ოქტომბერს სარჩელით მიმართა შპს „--“ -მა მოპასუხე შპს „--“ -ს მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელის მხრიდან არაერთი მცდელობის მიუხედავად მოპასუხეს სარჩელი და თანდართული დოკუმენტები ვერ ჩაბარდა.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 3 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა განჩინების ასლის გადაცემიდან 5 დღის ვადაში მოპასუხე შპს „--“ -ს დირექტორის --- (პ/ნ -) სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარება მისამართზე ---, --- №---; ---, --- №---.

შპს „--“ -ს წარმომადგენელმა ---, --- და --- შესაგებელი --- სასამართლოში წარადგინეს 2019 წლის 30 იანვარს.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის განჩინებით საქმეზე დაინიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის განჩინებით საქმეზე განახლდა წარმოება.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 22 ოქტომბერს მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება; მოპასუხეს დაევალა 2017 წლის 22 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე -- ლარის; 2017 წლის 2 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე -- ლარისა და 2018 წლის 25 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე -- ლარის გადახდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრეს შპს „-- --“-ს წარმომადგენლებმა -- -- და -- -- 2019 წლის 11 ნოემბერს.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინებით 2019 წლის 22 ოქტომბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

მოსამართლე -- -- სხვა სასამართლოში გადასვლის გამო საქმე განსახილველად გადაეცა -- --.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო. აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „-- --“-ს წარმომადგენლებმა.

2.2. -- -- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 29 ივნისის განჩინებით შპს „-- --“,ს შუამდგომლობა ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

-- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინებით შპს „-- --“-ს სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 14 დეკემბრის განჩინებით შპს „-- --“-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2019 წლის 22 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა შპს „-- --“ 2021 წლის 9 მარტს.

2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის განჩინებით შპს „-- --“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოტეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. ამავე კოდექსის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება. ასეთ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა სასამართლოს უნდა წარედგინოს სასამართლოში საქმის აღძვრის ან საქმის მომზადების სტადიაზე. სარჩელის (შესაგებლის) წარდგენისას მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ვადა ექსპერტის დასკვნის წარმოსადგენად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხს. დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის განჩინებით საქმეზე დაინიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტში მითითებული საჩივრის ავტორის მოთხოვნა). უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მიღებული განჩინების შემოწმების საკითხი, არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვეტა:

1. შეწყდეს -- -- 2021 წლის 7 ივლისის №77 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში.
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №77/21 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, შესაძლო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი